პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ხუთშაბათი, 5 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 516 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც· ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## სამხედროების საყურადღებოდ

ვირას, 8 ივნისს, დილის 10 საათზე გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქციის შენობაში (ჯორჯიაშვილის ქუჩა, ყოფ. ბარიატინსკის № 8) ხელმეორედ დანიშნულია ქართულ მსროლელ დივიზიის თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების

### სამხედროების კრება.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო დასწრება ყველა სამხედრის და პარტკომის აუცილებელია.

გაზ. „წითელ-არმიელი“-ს რედაქცია.

## ერიოს მთავრობა საფრანგეთში.

როგორც იქნა პუანკარეს მთავრობა გადადგა. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენელს, რადიკალების ბელადს, ერიოს.

ამრიგად საფრანგეთის მმართველობის საჭეს—პუანკარეს სახით—მოსცილდა მსხვილი კაპიტალისტები და სახელმწიფოს სათავეში ჩადგა საშუალო ბურჟუაზია.

უკანასკნელმა საპარლამენტო არჩევნებმა ნათლად გამოაშკარავა საფრანგეთის ხალხის სულის-კვეთება. მთელმა საფრანგეთმა, ერთი მუჭა მსხვილი მრეწველობის ოხავრების გამონაკლისით, გაილაშქრა პუანკარეს წინააღმდეგ, რომელმაც თავისი მტაცებლური, იმპერიალისტური პოლიტიკით დაღუპვის კარამდე მიიყვანა არა მარტო გერმანიის ხალხი, არამედ თვით საფრანგეთის მშრომელი მასსები.

ფრანკის კურსის დაცემა, სიძვირე, გადასახადების გადიდება, სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის შემცირება—აი რა მოუტანა საფრანგეთის მშრომელ ხალხს პუანკარეს ყაჩაღურმა პოლიტიკამ.

ცხადია, ის უნდა წასულიყო, რადგან თითეული დღე, თითეული ზედმეტი საათი მისი დარჩენისა სახელმწიფოს სათავეში, ნიშნავდა ყოველივე ზემო-თქმულ ბოროტების გადიდებას და გაფართოებას.

პუანკარე დამარცხდა, მის მაგივრად მოვიდა ერიო, საშუალო ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი.

რას წარმოადგენს ის?

მთავრობის ახალი პარტიის საუკეთესო დამახასიათებელია მისი მოქმედება და მუშაობა ამ სამი კვირის განმავლობაში.

საპარლამენტო არჩევნების დასრულების სამი კვირის შემდეგ მხოლოდ, მათ გაბედეს მთავრობის შედგენა და ისიც გამოურკვეველია ვინ შევა შიგ; ვიცით მხოლოდ, რომ ერიო იქნება სათავეში. ყოყმანი, ლათაიობა, გაუბედაობა, აი რა ახასიათებს ერიოსა და მათ ძმათა.

ცხადია, არავითარ არსებით ცვლილებას მათი მოსვლით საფრანგეთის საგარეო და შინაურ პოლიტიკაში ჩვენ არ მოველით.

ერიოს მთავრობა უძლურია კარდინალურად შესცვალოს პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებდა პუანკარე.

მაგრამ იმავე დროს ერიოს კარგათ აქვს გათვალისწინებული, რომ იმ ფორმებში და იმ სახით, რომლითაც ანხორციელებდა ბურჟუაზიის მტაცებლურ მიზნებს პუანკარეს მთავრობა, შეუძლებელია პოლიტიკის წარმოება.

ეს ნათლად სჩანს თვით ერიოს საპროგრამო მიმართვიდან სოციალისტებისადმი, სადაც ის ლაპარაკობს რვა საათის სამუშაო დღეზე, მუშებთან „ლოიალურ“ თანამშრომლობაზე, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა; მაგრამ აქვე დასძენს, რომ გერმანიიდან უნდა ავიღოთ ის რასაც მოითხოვდა პუანკარე და ამიტომ რურის ევაკუაციაზე ზედმეტია ლაპარაკი.

რას ნიშნავს ეს?

მშვიდობიანი გზით იმავე პუანკარეს მიზნების განხორციელებას. ასეთია საფრანგეთის ახალი მთავრობა. მას მხარს უჭერენ ვამცემლები სოციალისტები, რომლებმაც თუმცა უარი განაცხადეს მთავრობაში შესვლაზე, მაგრამ აღუთქვეს სრული დახმარება ერიოს და მის თანამოძმეთ.

ერიო ხშირად ლაპარაკობს ჩვენი ცნობის შესახებ. ამ დროს ის მალე მოესწრება, რადგან საფრანგეთის საარსებო ინტერესები აიძულებს მას იცნას საბჭოთა კავშირი.

## საფრანგეთის ახალი კაბინეტი
### ძველი პოლიტიკა რურში.

ერიომ წერილი გაუგზავნა სოციალისტების ბელადს ბლიუმს, რომელშიაც სწერია: „ჩვენ გვინდა შევადგინოთ 8 საათის სამუშაო დღისა და პროფკავშირთა უფლებების დამცველი კანონები. ჩვენ გავატარებთ კანონს სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ, რასაც მოითხოვს „სოციალური პროგრესი.“ ჩვენ გვინდა აღვადგინოდ ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენ ვღებულობთ სრულიად გულწრფელად ექსპერტთა მოხსენებას.

მაგრამ ჩვენ შეუძლებლად ვსთვლით რურიდან ჯარების გამოყვანას, სანამ ექსპერტების მიერ დადგენილი გარანტიები არ იქნება მოცემული გერმანიის მიერ.

### წინდახედულობა.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც უკრძალავს სოციალისტებს მიიღონ მონაწილეობა მთავრობაში დღევანდელ პირობებში. მაგრამ ყრილობამ დაადგინა მხარი დაუჭირონ ერიოს მთავრობას.

## ქედს იხრიან ამერიკის ოქროს წინაშე.

ერიო აბათილებს გაზეთების განცხადებას იმის შესახებ, თითქოს ის ცუდათ იხსენიებდა ამერიკის ჩარევას საფრანგეთის ფინანსიურ საქმეში. ერიომ განაცხადა, რომ მას არასდროს არ გაუკრიტიკებია ამერიკის ბანკირები, რომლებიც ხელს უწყობდენ ფრანკის კურს.

## ერიოს კაბინეტი.

„პტი პარიზიენი“ სწერს: დეპუტატთა პალატის კულუარებში მომავალ მთავრობის წევრებათ ასახელებენ: პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი—ედუარდ ერიო. იუსტიციის—ვენექტალიან რენე-რენუ, სამხედრო—რენე-რენუ ან გენე ალიშელ დელადიე, შინაგან საქმეთა—შრამეკი ან კამილ შოტანი, ახალშენების—კამილ შოტანი ან შრამეკი. საზოგადოებრივი სამუშაოების—რენე ვენარი, მიწად მოქმედების—კენნიილი, შრომისა და ჰიგიენის ჟიუსტინ გოდარი, ვაჭრობის—კლემენტალი, ფინანსების—პოლ დუმერგი.

### სოციალისტების კონგრესი.

სოციალისტების კონგრესმა უარი განაცხადა ერიოს კაბინეტში შესვლაზე და ისე კი შეპირდნენ მხარის დაჭერას. კონგრესმა გაანთავისუფლა სოციალისტების საპარლამენტო ჯგუფი ბიუჯეტის წინააღმდეგ სავალდებულო ხმის მიცემისაგან.

### მილიერანის წინააღმდეგ.

მემარცხენე ბლოკის პარტიების კრებაზე, სოციალისტ-რესპუბლიკანელებმა, რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა 307 ხმის უმრავლესობით მოითხოვეს მილიერანის გადადგომა.

მემარცხენე დემოკრატებმა, მემარცხენე რესპუბლიკანელებმა და დემოკრატებმა 180 ხმის უმრავლესობით მოითხოვეს მილიერანის პრეზიდენტათ დატოვება.

შედეგები ასეთია: 122 სენატორი წინააღმდეგია მილიერანის, 126 კი მომხრე.

### პრინციპის გულისათვის.

„მატენი“ სწერს, რომ მილიერანი არ გადადგება არა პირადი მოსაზრებით, არამედ პრინციპის გულისათვის. თუ მემარცხენე ბლოკის ლიდერებმა უარი განაცხადეს მთავრობის შედგენაზე, მილიერანი მაინც შეადგენს მთავრობას, რომელიც წარსდგება დეპუტატთა პალატის წინაშე. თუ ორივე პალატებმა ეს მთავრობა დაამხვეს, მაშინ თვითეულმა პალატის წევრმა და სენატორმა თავზე უნდა იდვას შედეგების პასუხისმგებლობა. მხოლოთ ამ შემთხვევაში გამოიტანს მილიერანი საბოლოო დასკვნას.

## ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმება.
### ჩინეთის პრესის გამოძახილი.

#### უბედნიერესი შემთხვევა.

ჩინეთის პრესა გულწრფელ კმაყოფილებას გამოსთქვამს საბჭოთა კავშირთან დაახლოების გამო.

მთავრობის პრესა „პეკინ დეილი ნიუზ“-ი სათაურით ,,უბედნიერესი შემთხვევა'' სწერს:

,,ნორმალური ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირთან დღეს უკვე ფაქტია. ამ შეთანხმების მომხრეა მთელი ჩინეთი, ვინაიდან ჩინეთის არას დროს არ მოუწერია ხელი უკეთესი ხელშეკრულებისათვის. შეთანხმებით იწყება ახალი ერა ორი დიდი ქვეყნის შორის''.

## ჩინეთის აღორძინების დღე.

ამერიკის გაზეთი ,,ნორდ ჩაინა სტარ“-ი, რომელიც მეგობრულად არის განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი სწერს: ,,შეიძლება მიულოცოთ ორივე ქვეყანას. 7 მაისი ჩინეთისთვის ეს არის დამცირების დღე. ვინაიდან ამ დღეს იაპონიამ წარუდგინა ჩინეთს 21 მოთხოვნილება. 31 მაისი ჩინეთის აღორძინების დღეა, ვინაიდან ამ დღეს ჩინეთმა მიიღო საბჭოთა კავშირის მიერ გაწვდილი ხელი''.

## ახალი ერა.

„პეკინ ლიდერი'' სწერს: ,,შეთანხმებით იწყება ახალი ერა ჩინეთისთვის საერთაშორისო ურთიერთობაში.

დღეიდან დანარჩენმა სახელმწიფოებმა უნდა აწარმოონ მოლაპარაკება ჩინეთთან, როგორც თანასწორუფლებიან სახელმწიფოსთან, ან უნდა შეურიგდენ იმ აზრს, რომ ჩინეთი საბოლოოდ გადავა საბჭოთა კავშირის მხარეზე''.

## ბრაზობენ.

იაპონიის ზოგიერთი გაზეთები სასტიკად უსაყვედურებენ საბჭოთა მისიას მოლაპარაკების საიდუმლოდ წარმოებისათვის, რომლითაც მან ,,შეიყვანა საზოგადოების აზრი შეცდომაში“

## პოლონეთი.
### კრაკოვის აჯანყებაში მონაწილეთა გასამართლება.

კრაკოვში დაიწყო 58 კაცის გასამართლება, რომლებსაც ბრალად ედებათ მონაწილეობა კრაკოვის აჯანყებაში. გამოწვეულია 328 მოწმე. მსაჯულთა შემადგენლობაში შედიან ბანკირები, სახლის პატრონები, ფაბრიკის პატრონები და მოხელეები. სასამართლოს შენობას იცავს პოლიცია.

### პოლონეთის უღლის წინააღმდეგ.

უკრაინის მოსახლეობა აღელვებულია პოლონეთის ადმინისტრაციის მოქმედებით, რომელმაც დახურა უკრაინელთა სკოლები. უკრაინის სეიმის კლუბმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ასეთ მდგომარეობის გამო მათ დარჩენიათ მხოლოდ მიმართონ კულტურულ ქვეყნებს დაცვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამსტერდამის ყვითელ პროფკავშირთა კონგრესი.

გაიხსნა ამსტერდამის პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანების კონგრესი. დაესწრო 130 დელეგატი 21 სხვა და სხვა ორგანიზაციიდან.

**„ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ“**

ამსტერდამის ინტერნაციონალის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებაში ზასოლბა აღნიშნავს, რომ ბევრ ქვეყნებში 8 საათის სამუშაო დღე ფაქტიურად არ არსებობს. ამიტომ ინტერნაციონალმა უნდა ეცადოს 8 საათის სამუშაო დღის აღდგენის შესახებ, „რამდენადაც ნებას მისცემს მას ეკონომიური პირობები.“

**ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲣᲛᲪᲘᲠᲓᲐᲗ.**

ამსტერდამის ფინანსიური მდგომარეობა უნუგეშოა. წევრთა რიცხვის შემცირების გამო, საწევრო გადასახადიდან შემოსული თანხა 180.000 გოლანდიის გულდენიდან ჩამოვიდა 76.000-ზე.

საბჭოთა კავშირის პროფკავშირებს ზასოლბა არ შეეხო, ვინაიდან პრეზიდიუმის პრესის განყოფილებაში ცნობა იყო, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი სთვლის პროფინტერნსა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურ კავშირთან მოლაპარაკებას შეწყვეტილად.

# ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗ. ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ.

ბრომლეიმ, რომელიც გამოვიდა ინგლისის დელეგაციის სახელით, განაცხადა, რომ პრეზიდიუმის წინადადება, რომ ცნობილ იქნას პროფინტერნთან მოლაპარაკება შეწყვეტილად, მიუღებელია. ბრომლეიმ შეიტანა წინადადება განახლებულ იქნას რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ კავშირთან მოლაპარაკება, შეერთებული თანამშრომლობის მიზნით, ვინაიდან რუსეთის პროფკავშირებისაგან ჩამოშორება ცუდ გავლენას მოახდენს ინგლისისა და სხვა ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობაზე.

# ᲤᲘᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

ფიმენმა, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდენ, განაცხადა, რომ ის უერთდება ინგლისის დელეგაციის წინადადებას, ვინაიდან მუშათა კლასის მთლიანობა აუცილებელი პირობაა კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ფიმენმა სთქვა: „ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმმა უარი განაცხადა ტრანსპორტელთა საერთაშორისო კავშირის შეთანხმების დამტკიცებაზე საბჭოთა კავშირის ტრანსპორტელებთან. გავიდა ერთი წელი, მაგრამ ამსტერდამის ინტერნაციონალმა ვერაფერი ვერ გააკეთა ამ დარგში. მუშათა კლასი შესუსტებულია. რეაქცია გაძლიერდა. გაერთიანებათა მთელი რიგი მომხრეა სსრკ-ს კავშირებთან თანამშრომლობისა. ამსტერდამის ინტერნაციონალი უნდა სცდილობდეს ს. ს. რ. კ-სთან დაახლოებას. საჭიროა საჩქაროდ იქნას მოწვეული ახალი კონფერენცია, სსრკ-ს პროფკავშირთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.

## ᲛᲔ-13-Ე ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ.

ცენტ. საკონტროლო კომისიის პლენუმის მიერ ცენტ. საკონტ. კომისიის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. გუსევი, ილინი, კისელიოვი, როიზენმანი, კოროსტელოვი, კოროტკოვი, კრუპსკაია, კუიბიშევი, ლისიცინი, როიზენმანი, სოლცი, ჩუცკაია, შვერნიკი, შვირიატოვი, იანსონი და იაროსლავსკი. კანდიდატებათ: კოსარიოვი, პოსტუხოვი, შოტმანი, ივანოვი, ლებედევი და ნაზარეტიანი. ცენტ. საკ. კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. კუიბიშევი.

ც. საკ. კომისიის სამდივნოში: გუსევი, კუიბიშევი, იანსონი, იაროსლავსკი და შვირიატოვი. კანდიდატებათ: შვერნიკი და ჩუცკაია, პირველი მდივანი ამხ. გუსევი.

**ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲢ-ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.**

პარტ-კოლეგიაში შევიდნენ: ამხ. ამხ. იაროსლავსკი, სოლცი, პანოვი, ფიშლერი, სახაროვი, კრუმინი და ვასილიევა. კოლეგიის მდივანი იაროსლავსკი, რაიონებში სამუშაოთ გამოყოფილ იქნა: ამხ. იაროსლავსკი — უმაღლეს სასწავლებლებში; ამხ. სოლცი — მოსკოვის რაიონში. ამხ. პანოვი — არმიების პოლიტსამმართველოებში, კავკასიაში, ამიერ-კავკასიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთში. ამხ. სახაროვი — ურალი და ციმბირი. ამხ. ვასილიევა — ჩრდილო-დასავლეთი ოლქი. ამხ. კრუმინი — უკრაინა, ყირიმი და დასავლეთის ოლქი. ამხ. ფიშლერი — თურქესტანის ნაციონალური რესპუბლიკები.

# ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ

ლენინგრადში ჩამოვიდა ინგლისის პარლამენტის წევრი ვილიამ კონვეი მუზეუმთა, ხელოვნების და სიძველეთა ძეგლების გასაცნობათ.

# ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲨᲞᲘᲝᲜᲐᲟᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

უკრაინის უზენაეს სასამართლოში იწყება კადიევის ინჟენერების ერთი ჯგუფის საქმე, რომელთაც ბრალდებათ ეკონომიური კონტრრევოლიუციონერობა.

კადიევის მაღნების ინჟენერები აწვდიდენ ცნობებს მაღნების ძველ პატრონებს, რომელნიც პოლონეთში არიან გაქცეულნი, მაღნების ეკონომიური და ტეხნიკურ მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებში ისინი ღებულობდნენ გულუხვ ჯილდოს. ცნობების გადაცზავნა ხდებოდა ხარკოვში არსებულ პოლონეთის მისიის საშუალებით. აღნიშნული ორგანიზაცია მოქმედებდა ორ წელზე მეტი. ყველა ბრალდებულნი გამოტყდენ დანაშაულში.

# ᲤᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ.

ამხ. სოკოლნიკოვმა აღნიშნა, რომ ჯერ ფულის რეფორმას ვერ ჩავსთვლით დასრულებულად, რადგანაც ჯერ კიდევ ბევრი სიძნელენი გვაქვს გადასალახავი, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ რეფორმა წარმატებით დასრულდება.

# ᲒᲕᲐᲚᲕᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ.

უკანასკნელი ცნობებით მთელ უკრაინაში დიდი გვალვებია და მოსავალი დღითი დღე ფუჭდება გარდა გვალვისა მოსავალი დაზარალდა აგრეთვე მინდვრის თაგვებისაგანაც.

# ᲠᲐᲓᲘᲝ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

## ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ.

**ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ.**

ბუქარესტიდან მოსული ცნობებით გენერალმა ავერესკუმ მოსთხოვა მეფე ფერდინანდს მთავრობის გადაყენება. ხმებია გავრცელებული, რომ თუ მეფემ მთავრობა არ დაითხოვა სამხედრო ხელის უფლებას მოუხდება აიღოს ხელთ ძალა-უფლება და ძალით დაითხოვოს მინისტრები.

**ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲨᲘ.**

რუმინეთის სამეურნეო წრეებში ლაპარაკობენ, რომ წრეულს მოსავალი ძლიერ ცუდი იქნება გვალვების გამო. გაზეთების ცნობით, პურის, ქერის და სიმინდის ნათესები ერთიანად დაიღუპა.

## ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

**ᲦᲐᲚᲐᲢᲝᲑᲔᲜ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ.**

ახალი მთავრობის პირველ სხდომაზე პრემიერ ინგმანმა საპროგრამო სიტყვაში განაცხადა, რომ ფინეთის მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც „შემჩნეული იქნებიან მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციაში და მოღვაწეობაში.“

## ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ.

**ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲐᲡᲔᲑᲨᲘ.**

მელითონე მუშებმა ზოგიერთ ქარხნებში განაახლეს მუშაობა. მუშებსა და შტრეიკბეხერებს შორის შეტაკებებია.

მშენებელ მუშათა გაფიცვები გრძელდება: მათი მოთხოვნილება ხელფასის მომატების შესახებ უარყვეს. მუშები მოითხოვენ ცენტრალურ პროფკავშირთა ორგანიზაციის თავმჯდომარის ლიანის გადაყენებას, რომელმაც თავის შემთანხმებლური პოლიტიკით აამხედრა მუშები თავის წინააღმდეგ.

# ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ.

**ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

რეიხსტაგმა დაამტკიცა შინაური წესრიგის კომისიის გადაწყვეტილება კომუნისტ დეპუტატების გეიდემანის, ფლორინის, შლეხტის, ბუხმანისა და იადაშის განთავისუფლების შესახებ.

საკითხი პფეიფერისი და ლინდაუს შესახებ არ არის გადაჭრილი. ხანგრძლივმა დებატებმა და პოლემიკებმა კომუნისტებსა და ტევტონელებს შორის გამო წვიეს საკითხი ტევტონელ კსიბესის და კომუნისტ ურბანსის განთავისუფლების შესახებ. ბოლოს ეს საკითხი უარყოფილ იქნა.

კომუნისტების წინადადება, სადაც ისინი მოითხოვდენ გაერჩიათ საკითხი პოლიტიკურ პატიმრების შესახებ, უარყოფილ იქნა დიდი ხმის უმეტესობით კომუნისტების წინააღმდეგ.

## ᲤᲣᲚᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ.

საქსონიის მრეწველთა გაერთიანებამ მიაქცია მმართველ ორგანოების ყურადღება საკრედიტო ნიშნების სიმცირეს.

მათ განაცხადეს, რომ თუ ეს მდგომარეობა დაჩქარებით არ იქნა გამოსწორებული, მოსალოდნელია ძლიერ ცუდი შედეგები.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐ

კანცლერმა მარქსმა განაახლა მოლაპარაკება მემარჯვენეებთან.

შტრეზემანმა განაცხადა, რომ იგი არ იქნება წინააღმდეგი, თუ მემარჯვენეები შეუერთდებიან მარქსის პოლიტიკას და შევლენ მასთან კოალიციაში.

# ᲛᲝᲘᲢᲐ ᲛᲐᲢᲝᲠᲘ.

2 ივნისს, მოსკოვის ცენტრალურ პაეროდრომზე, კომუნისტურ პარტიის მე-13 ყრილობის წევრებს გადასცეს საჰაერო ესკადრილია „ლენინი“, რომელიც შემდეგ გადაცემულ იქმნა წითელ არმიისათვის.

სამხედრო ტეხნიკის განვითარებამ თანამედროვე პირობებში უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია, უკვე აღარ კმაყოფილდება ვინტოვკებით, უდიდესი ზარბაზნებით, რომელნიც ისვრიან ყუმბარას რამოდენიმე ათეულ ვერსზე. ფოლადის გემებით, რომელნიც დასცურავენ როგორც ზღვის ზედ პირზე, აგრეთვე ზღვის სიღრმეშიაც.

დღეს სისხლ მოჰარბებული, გამხეცებული ბურჟუაზია იპყრობს ჰაერს, ქმნის ათასობით ჰაეროპლანებს, რომელმაც მაღლა ციდან სიკვდილი უნდა გამოუგზავნოს მინდორში მომუშავე გლეხს, ან ქარხანაში მყოფ მუშას.

მფრინავ მეომრებს დაახმარეს მეცნიერებაც — ქიმია.

ქიმია ისეთი დარგია მეცნიერების, რომელსაც უდიდესი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ადამიანს. ქიმიურ საშუალებებით ანოყიერებენ მიწას, ქმნიან სხვა და სხვა საჭირო და აუცილებელ წამლებს და მრავალი სხვა. — მაგრამ ბურჟუაზიამ მეცნიერებაც ბოროტად გამოიყენა. ქიმიის საშუალებით გამოიგონეს ისეთი სულშემაგუთავი გაზები, რომელიც ანადგურებს ცხოველებს, ადამიანს და მცენარეულობასაც კი.

კაპიტალისტები იარაღდებიან ერთმანეთის წინააღმდეგ, რადგან იციან რომ მონების, სიმდიდრის გაყოფის დროს ერთმანეთში ჩხუბი მოუვათ. მაგრამ ისინი ილესვენ კბილებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგაც. მათ იციან, რომ საბჭოთა მთავრობა, როგორც მუშების და გლეხების მთავრობა მოსისხლე მტერია ბურჟუაზიის. საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მიისწრაფვის მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის. საბჭოთა მთავრობამ გადაიტანა უდიდესი ბრძოლები მათ წინააღმდეგ და მაინც გამარჯვებული გამოვიდა.

საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია თვალ-ყურს ადევნებს მტრის ბანაკს. მტერი იარაღდება ქმნის ჰაეროპლანებს, იგონებს სასიკვდილო აირებს (გაზებს) მაგრამ მუშების და გლეხების სახელმწიფო არავის დაანებებს თავის თავისუფლებას.

ჩვენც უნდა შევიარაღდეთ.

მუშებმა თავის მცირე ჯამაგირიდან მოაგროვეს იმდენი თანხა, რომ გადასცეს კომუნისტურ პარტიის მე-13 ყრილობას 13 ჰაეროპლანი. წითელ არმიის ბელადმა ამხ. ტროცკიმ გადმოისროლა ლოზუნგი:

**საბჭოთა მუშავ, საბჭოთა ინჟინერო კონსტრუქტორო, საბჭოთა მეურნევ მოიტა მატორი!**

რადგან ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიქნებით უზრუნველყოფილი, როდესაც გვექნება ჰაეროპლანი საკუთარი წარმოების.

ამხანაგმა რიკოვმა განაცხადა: **ჩვენ შევქმენით ფოლადის მფრინავი რევოლიუციონერები, მაგრამ მათ ნისკარტში ისეთი იარაღი უნდა ჩაუდვათ, როგორიც არის ქიმია.**

მფრინავი რევოლიუციონერი, სამხედრო ქიმია დაყრდნობილი წითელ ჯარს, გამაგრებული მუშურ გლეხურ მთავრობით, არის საწინდარი ჩვენი მომავალ გამარჯვებების და წინსვლის.

კ—ნგ.




# ახალწვეულები მოდიან—დაცარიელებული ყაზარმები კვლავ აივსო ახალი ძალებით ახალ ძალებს—ახალი სიმღერა შემოაქვს ჩვენს რიგებში.

3 ივნისი, ლეგიონის ეზოში ახაურდა სამხედრო მუსიკა; პოლიტ და უფშემადგენლობა სადგურისაკენ მიეშურება. ეგებებიან ძვირფას სტუმრებს—ახალწვეულებს დასავლეთ საქართველოდან.

თითეულის სახეზე ამოიკითხავთ რაღაც სიამოვნებას. ახალი—სოფლელი ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა ყველას ახარებს.

### შეხვედრა სადგურზე.

უკვე სადგურზე ვიმყოფებით, უცდით მატარებელს, შეაგვიანდა—ივსება მოლოდინის ფიალა. მაგრამ აი მოისმის ორთქლმავალის შეკივლება. სადგური აფუსფუსდა—ზოგი ვილაცის მოლოდინში, ზოგი კიდევ... და ჩვენ კი ახალწვეულების შესახვედრად შევამზადეთ მუსიკა.

მატარებელი შამოსრიალდა სადგურში და ჩვენმა მუსიკამაც დაიგრიალა. ახალწვეულებს ვაგონებიდან თავი გამოეყოთ და სიამოვნებით იჭვრიტებოდენ. იგრძნეს რომ მუსიკა მათ დახვდა.

### სადგურიდან ლეგიონისაკენ.

მისალმება, თავაზიანი შეხვედრა, ცოტა გაბაასება და რიგში ჩამდგარი მუსიკითვე გამოვეშურეთ ლეგიონის ყაზარმებისაკენ.

უკვე დილის 10 საათია. ლეგიონის ეზოში აირია ახალი, ძველი წითელ არმიელები და უფ-პოლიტ-შემადგენლობა.

ახალწვეულები განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ ყველაფერს თვალს. თითეული დამხვდურის სიტყვა აინტერესებთ, ყველას ცნობის მოყვარეობით უსმენენ. ზოგი კიდევაც ოხუნჯობს, მასხრობს არ ცხრება. მაგრამ თვისი ბედით ყველა, კმაყოფილია.

### მიტინგი. მუშაობა ეხლა გაჩაღდა.

ამხანაგებო—გაისმა ამხ. ნუცუბიძის ხმა—შესწყდა ხმაურობა, ყველა უსმენს.

ამხ. ხსნის მიტინგს და პირველად ესალმება ახლად მოსულებს. ამხ. ბახია, ის ხაზს უსვამს მათ მოვალეობას წითელი ჯარის რიგებში.

მისალმება მხურვალე ტაშმა დაჰფარა.

უფ-პოლიტ-შემადგენლობის სახელით გამოდის ამხ. გეგელია, შემდეგ კლუბის უფროსი, ნუცუბიძე პოლიტშემადგენლობის სახელით და სხვა.

მიტინგი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს არმიელებზე. აშკარათ ეტყობათ, რომ ახალი ცხოვრების დასაწყისს ყველა შეგნებულად ხვდება. მიტინგი იშლება—ორკესტრიც გუგუნებს, რომელსაც თითქმის ფარავს შეუწყვეტელი ტაში და ვაშას ძახილი.

ახალწვეულებმა ამ დღესვე გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილება წითელ ჯარზე და ყაზარმებზე. ამბობენ მთლად ასე თუ იყო არ გვეგონაო.

„აბა ნიკოლაის დრო ხომ არ გონიათ"? გაისმის ერთის ხმა.

ახლად მოსულები ჯერ-ჯერობით მოთავსებული არიან საკარანტინო გუნდში.

პოლიტ-ხელები ამოქმედდენ და შეუდგენ მათთან სხვა და სხვა საუბრების ჩატარებას.

**დ. კალანდაძე.**

## ახალწვეულები მოვიდნენ.

(სურათი)

შაბათი, 31 მაისი. სიცხე გახურებულ მზით. ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმის ეზო ახმაურდა.

წითელ არმიელთა, უფ და პოლიტშემადგენლობის სახე ნათლდება.

— მოვიდნენ!—გაისმის მხიარული ხმა.

-- ვინა?

— ახალწვეულნი.—იყო პასუხი.

შემოდიან 38 ახალგაზრდანი მზით დამწვარი სახეებით, და იწყება მისალმება.

უმრავლესობას გულზე უელავს ახალგაზრდა ლენინელების ნიშანი.

— გაუმარჯოს ახალწვეულთა!—გაისმის ძველ წითელ არმიელების ხმა.

— გაუმარჯოს წითელ არმიას!—უპასუხებენ ახალწვეულები.

დამხვდურებს ბევრი ახლად მოსულეშში ნაცნობები აღმოუჩნდათ. გაიმართა ტკბილი ბაასი.

ძველები უზიარებენ ყაზარმის შთაბეჭდილებებს და ახალწვეულნი კი მოუთხრობენ თავიანთ მოუთმენლობაზე, რათა მალე მოსულიყვნენ ყაზარმებში და ჩამდგარიყვნენ წითელი ჯარის რიგებში.

ესენი არა ჰგვანან პირველ და მეორე წვეულებს, ეს მესამე რიგი სხვა ძალაა, იგი უკვე შეიარაღებული მოვიდა პოლიტიკურად და კულტურულად. ეს გამოირკვა პირველ პოლიტ-საათზევე.

ახალწვეულთ ესმით თუ რისთვის მოვიდენ და ადვილად ეთვისებიან ახალ ოჯახს—წითელ ყაზარმას. თუმცა მათ უკვე სცოდნიათ ყაზარმული ცხოვრება უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელთაგან.

ამ დღეებში კიდევ ველით მეორე პარტიას.

**ს.**

## ახალგაზრდების მეორე წყება ჩვენთან.

1-ლ ივნისს ცალკე საკავ. ასეულმა კიდევ მიიღო ახალწვეულები რიცხვით ორმოცი კაცი.

ეზოში ჩამოსვლისას მთელი ასეულის წითელ არმიელებს შეეტყოთ რაღაც სიხარული და აღფრთოვანება. ყველა იცინის, ყველანი განსაკუთრებული მზრუნველობით დასტრიალებენ მათ თავზედ.

იმართება ბაასი. ახალწვეულები დიდის ინტერესით იძლევიან შეკითხვებს ასეულის ცხოვრების შესახებ, რომლებსაც სათანადო პასუხი ეცემა.

ახალწვეულებს ეტყობათ რომ ისინი ღირსეულად ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლებას. ძველი წითელ არმიელები ეკითხებიან სოფლის ცხოვრების შესახებ, თუ როგორი პირი უჩანს ჰირნახულს და სხვა. თავის მხრივ ახლად მოსულებიც მეტად არიან დაინტერესებული ყაზარმული ცხოვრებით.

ასეთი საუბარის შემდეგ გაიმართა „ლახტის" თამაში ახლებსა და ძველებს შორის. ასეული გახალისდა. მხიარულება ეზომაც იგრძნო. განსაკუთრებით ახლებს არ ეტყობათ არავითარი მოწყენა, პირიქით ისინი მზათ არიან დაიწყონ სწავლა და დიდი სიხარულითაც მოელიან ამას.

გაუმარჯოს ახალწვეულთ, რომლებიც ფხიზლად დგებიან საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

**ნ. სულორელი.**

## უფშემადგენლობის წმენდის შედეგები.

თბილისის ნაწილების გაწმენდის შემდეგ, უფშემადგენლობის გამწმენდი კომისია გაემგზავრა ქ. ქუთაისში და ბათუმში, სადაც მოახდინა უკანასკნელი გაწმენდა.

კომისიას აინტერესებდა გამოერკვია სამი უმთავრესი საკითხი, რომელიც ახასიათებს წ. ჯარის შემადგენლობის დადებითი და უარყოფითი მხარეებს.

1) პოლიტიკური მომზადება.

2) სოციალური შემადგენლობა და პირადათ გაცნობა ჩვენი უფშემადგენლობისა. კომისიის მუშაობა მეტად ნაყოფიერი შექნა. მან უსათუოდ დიდი მუშაობა ჩაატარა. წმენდამ საშვალება მოგვცა ჩვენს უფშემადგენლობას დეტალურად გავცნობოდით და სავსებით გამოგვერკვია ჩვენთვის საინტერესო საკითხები.

წმენდამ გადაშალა ჩვენს წინ შემდეგი სურათი:

1) უფშემადგენლობის 95% არ არის დაინტერესებული კულტურული მუშაობით, რაც დიდი დანაკლისია და შემდეგში აუცილებლად უნდა გამოსწორონ. სოციალური მდგომარეობის მხრივ 90% გლეხობაა.

რაც შეეხება პოლიტიკურ განვითარებას ამ მხრივაც კომისიამ ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შედეგები, გარდა მეორე ლეგიონისა, სადაც ამ მხრივ საქმე ერთგვარ დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

კომისიის მუშაობამ გამოარკვია, თუ რას ავალებს მთავრობა ჩვენს უფშემადგენლობას და იმედია ისინი ამის შემდეგ გამოიჩენენ მეტ უნარს და არ დაზოგავენ ენერგიას თვით განვითარების საქმეში და წ. ჯარის აღზრდის საქმეს მიაქცევენ ყურადღებას.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ წმენდა უკანასკნელი არ არის და ამიტომ დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრან ზევით ჩამოთვლილ შეჩნეულ ნაკლულოვანებებს.

**ს. ლ.**

## წითელ არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.*)

### როგორ ჩნდება აღნიშნული ხასიათის „ციმბირის წყლული"?

ნიადაგის, სადაც ოდესმე ყოფილა „ციმბირის წყლული", ზემო ნაწილის მიწა, რომ გავშინჯოთ მიკროსკოპში, რასაკვირველია, წინასწარ ბაქტერიოლოგიურ წესით მომზადებული, ჩვენ აღმოვაჩენთ მასში ციმბირის წყლულის ბაცილების „სპორებს".

საიდან გაჩნდენ ეს „სპორები" ამ მიწაში, როდესაც აქ არავითარი მკვდარი ლეში არა გდია?? დიახ, გლეხისთვის ეს გაუგებარია, მაგრამ თუ ქვემორე ამისა სტრიქონებს გულ მოდგინეთ წაიკითხავს და ჩაუკვირდება, ამისთანა ალაგას იგი თავის საქონელს საძოვრად არასოდეს არ გამორეკავს.

„ციმბირის წყლულით" ერთხელ მოწამლული ნიადაგი დიდს ხანს ინახამს შხამს.

როგორც ზევით ჩვენ უკვე ვსთქვით, „ციმბირის წყლულის ბაცილები" ცხოველის სხეულის გარეთ ტანზე ისხამენ ქურქს; ამ ქურქს ჩვენ დავარქვით „სპორები"; ეს „სპორები" წვიმის წყალს, მიწაში ქღერთის დროს, თან მიაქვს ღრმად მიწაში და უკანასკნელის ფენებში იგინი ინახებიან მთელ ზამთარს; მხოლოდ გაზაფხულზე, წვიმის გადაღების შემდეგ, როცა მზის სხივები ცოტად შეათბობენ მიწის ზედა ნაპირს, ეს „სპორები" ამოაქვთ ეგრედ წოდებულ „წვიმის ჭიებს" მიწის ზედა ნაპირზე; სპორების ამოტანის მექანიზმი შესდგება შემდეგში: წვიმის ჭიები, რომელნიც წვიმის დროს ღრმად ძვრებიან მიწაში, გზა და გზა სჭამენ მიწის ნაწილსაც და მასთან ერთად ყლაპავენ ამ მიწაში შერეულ ციმბირის წყლულის „სპორებსაც", რომლებზედაც ეხლა ხან გვქონდა ჩვენ ლაპარაკი; ეს ჭიები ისეთი ფაქიზი ცხოველებია, რომ თავიანთ განავალს არა სტოვებენ მათ მიერ გაკეთებულ ხვრილებში, არამედ ამავე გზით ამოაქვთ მიწის ზედა ნაპირზე და იქ სტოვებენ პატარ-პატარა გროვებად. ეს მოვლენა თვალსაჩინოა მომეტემულ ნაწილად წვიმის გადაღების შემდეგ და მზის გამოშუქების დროს. ამ პატარ-პატარა გროვების გამშრალი მიწა პატარა ნიავითაც კი კორიანტდება და ეს კორიანტელი, მასში გახვეული „სპორებით", ეფინება ვრცელ მანძილზე საძოვარ ბალახს, ნაწილობრივ ცვივა სასმელ წყლის გუბეებში და ჭებში. ამ ალაგას გამორეკილი საქონელი ძოვნის დროს ბალახთან ერთად ატანს მასზე დაფენილ „სპორებს", საიდანაც ცხოველის გვამში ჩნდებიან ის „ბაცილები", რომლებზედაც ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი.

ასე და ამნაირად ხდება ცვლილება და გადასვლა-გადმოსვლა ციმბირის წყლულის „ბაცილებისა" ცხოველის სხეულიდან ბუნებაში და უკან—ბუნებიდან—ცხოველის გვამში.

მეორე გზა, საიდანაც „ციმბირის წყლულის ბაცილები" ესევიან სხეულს, როგორც ზევით ვსთქვით, არის სხეულის გარეგანი საფენები და კერძოდ ტყავი. ამ გზით შეყრილ სატკივარს ეძახიან „აცრილ ციმბირის წყლულს, გარეგან ციმბირის წყლულს, კარბუნკულს" (სიმსივე) ასეთი ყალიბის „ციმბირის წყლული" იშვიათი მოვლენაა და იპყრობს თვითეულ ცხოველს (სპორადიული შემთხვევა) და ამნაირად ავადმყოფობას იწვევენ მომეტებულ ნაწილად კრაზანები, ჩვეულებრივი ბუზები, ოპერაციის დროს ხმარებული ჭუჭყიანი იარაღი და სხვა.

ტყავის გზით დაავადმყოფებულ-ცხოველის გარეგან სხეულში ბაცილები და მისი სპორები მრავლდებიან ადგილობრივად—ტყავში და მის ქვენა მდებარე ლორწოიან ·ქსოვილებში. მაგარ მკვრიე ტყავში ბაცილები ღრმად ვერ მიდიან, ამისგამო იწვევენ მხოლოდ მცირე სიმძიმეს (კარბუნკულს) და თუ გადალახეს ტყავის სიმაგრე და შევიდნენ მის ქვენაქსოვილებში, მაშინ იწვევენ წყალ-მანკის მზგავს, ვრცელ სიმსიმეს, რის შემდეგაც სისხლის და ლიმფატიური ძარღვების საშუალებით ედებიან მთელ სხეულს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ციმბირის წყლულის ბაცილები" მრავლდებიან სისხლში იმ დროს, როცა სხეული უკვე სიკვდილის პირის წინ სდგას, ესე იგი სისხლს უკვე ეკარგება სხეულის დაცვის უნარი; თავშივე კი ბაცილები სისხლში ვერ მრავლდებიან, რადგანაც სისხლის წითელი ბურთები მათ ჭლეტავენ; ამიტომ ეს ბაცილები ჯერ გროვდებიან ელენთაში, ფილტვებში და ღვიძლში და მაშინ, როდესაც იგინი მიაღწევენ განვითარება გამრავლების უმაღლეს წერტილს, შეესევიან სისხლს, რომელსაც ამ დროისთვის უკვე დაკარგული აქვს თადაცვის შნო და იღებენ მას (სისხლს), როგორც სასარგებლო საზდოების ნიადაგს.

**ბასრი.**

(გაგრძელება შემდეგ)

*) იხ. „წ. ა." № 515.

# ახალი ამბები.

— **ამაღლება უქმე არაა.** საქ. შრომის კომისარიატის დადგენილებით დღევანდელი დღე, 5 ივნისი დასვენებელი დღე არაა და მუშაობა სწარმოებს ჩვეულებრივად.

— **ბინების დანგრევა.** აღმასკომმა ნება დართო საბურთალოზე მცხოვრებ მუსულმანებს დაანგრიონ არასაცხოვრებელი ბინები და საამშენებლო მასალა კი მიყიდონ ცენტრალმშენებლობას.

— **გორის აღსადგენათ.** საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა მიმართა მოწოდებით სომხეთისა და აზერბეიჯანის რესპუბლიკებს გორის აღდგენის საქმეში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

— **გლეხთა სასახლე ზესტაფონში.** ქალ. ზესტაფონში გლეხთა სასახლის შეკეთება დამთავრდა და იგი ამ მოკლე ხანში გაიხსნება. ამუშავდა აგრეთვე ლერწამის ქარხანაც.

— **შუამდგომლობა გლეხების სახელით.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა სრულიად საქართველოს ცაკის წინაშე რათა გლეხებს არ გადახდეთ შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომი-

ტეტის მიერ სესხათ დარიგებული სათესლე ხორბალი 1921 წ. განმავლობაში. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

— **ნარდათ მუშაობის შესახებ.** საქ. ცაკმა მიიღო დადგენილების გეგმა სახელმწიფოსათვის ნარდათ მუშაობის და ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

— **ახალი სანატორიუმი.** სადგურ დამბანთან (ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე) გაიხსნება ახალი სანატორიუმი რკინისგზელებისათვის.

— **ზაქათალის ელექტროფიკაცია.** ქალ. ზაქათალაში ელექტროსადგურმა დაიწყო მოქმედება. სადგური აწვდის ქალაქს დიდძალ სინათლეს.

— **ბავშების გაგზავნა კოჯორში.** ამ დღეებში დაიწყება ბავშების გაგზავნა აგარაკ კოჯორზე.

— **ფიზიკური კულტურა.** ფიზკულტურის უმაღლეს საბჭომ შეადგინა კომისია, რომელსაც ევალება მზრუნველობის გაწევა ყველა ტანსავარჯიშო წრეებზე.

— **საცდელი მინდვრები.** ყვარელის რაიონში (კახეთი) ცეკავშირმა აიღო 24 დესეტინა მიწა, სადაც მოეწყობა საცდელ-საჩვენებელი მინდორი.

— **ტყავეულობის ქარხანა.** ცეკავშირს განზრახული აქვს მოკლე ხანში მოაწყოს ოზურგეთში ტყავეულობის ქარხანა.

— **ხელოვნური ხელ-ფეხი.** დამზღვევმა კასამ დაადგინა დაზღვეულთათვის ხელოვნურ ფეხები და სათვალეების გაცემა აწარმოოს სამკურნალო ქვე-განყოფილებამ.

— **ქათმის ხოლერა.** ქუთაისის სენაკის და ოზურგეთის მაზრებში მძვინვარებდა ქათმების ხოლერა, მაგრამ ამ უკანასკნელათ ეს ეპიდემია მოისპო მიწ-მოქ. კომისარიატის მიერ მიღებული ზომებით,

## ხელოვნება.

— **კონცერტი მუშებისათვის.** დღეს, პლეხანოვის მუშათა თეატრში გაიმართება ქართული სახალხო მუსიკის დიდი საღამო მუშებისათვის. საღამოს ხელმძღვანელობენ ვ. ფოცხვერაშვილი და მ. ბალანჩივაძე.

— **თეატრები დასასვენებელ სახლებთან.** დასასვენებელ სახლებთან აგარაკებზე, გადაწყვეტილია მოწყობილ იქნას თეატრები და სამკითხველოები.

— **ვერის მუშათა კლუბი.** კვირას, 8 ივნისს გაიხსნება ვერის მუშათა კლუბის საზაფხულო სადგომი.

## სასოფლო მეურნეობა

### სამკურნალო მცენარეები.

ხარის ძირა ძლიერ გავრცელებულია მთის კალთებზე, ზამთარში მისი მიწის ზევითა ნაწილები ხმება, მაგრამ რჩება მიწაში დახლართული ძირები, რომლებიც გაზაფხულზე იყრიან ყლორტებს. იზრდება ხარის ძირა 1—2 არშინის სიმაღლე. ის ადვილი საცნობია თავისი ქვედა ბრტყელი ფოთლებით ც ცოცხისებური სწორი, ყვავილებით დაფარული თავთავებით. მის თესლებს აქვთ საფრენი ბუსუსები.

ხარის-ძირას ყოველი ნაწილი შეიცავს მაგარ საწამლავს, რომელსაც ეწოდება „ვერატრინი". სამკურნალოთ ხმარობენ ხარის-ძირას ბოლქვებს და ძირებს, ამისათვის ძირები უნდა მოთხაროთ ბარით ან თოხით ადრე გაზაფხულზე, სანამ მცენარე ყლორტებს ამოყრიდეს, მაგრამ ამ დროს ის ადგილი სადაც ხარის-ძირას ბოლქვებია ძნელი მისაგნებია. ამიტომ ასეთი ადგილები ზაფხულზე ან შემოდგომაზე უნდა დავინიშნოთ, რომ გაზაფხულზე მივაგნოთ.

ამოთხრილი ხარის-ძირას ბოლქვები უნდა გაირეცხოს და გაიშროს ჩრდილიან ქარგამარავ ადგილას. მზეზე გაშრობა არ ვარგა.

არ უნდა დაივიწყოთ რომ ძირზე მოკიდების შემდეგ ხელები კარგათ უნდა დაიბანოთ, თორემ შესაძლებელია მოწამვლა.

სამკურნალოთ ამ მცენარეს უმთავრესათ საქონლის ექიმობაში ხმარობენ. შინაური საქონელი ხარის-ძირას სრულიათ არ სჭამს გარდა ცხვარისა და ღორისა, რომელთაც ცოტ-ცოტა არ სწყენს.

თივაში მისი გარევა არ რაის სასურველი, რადგან ასეთ თივას საქონელი ზანტათ სჭამს და მაინცა და მაინც არ ეტანება.

ჩვენში ხარის-ძირა ძლიერ გავრცელებულია. ეს, ესე ვთქვათ თავისით მოსული სიმდიდრეა. ჩვენმა მეურნეებმა უნდა ისარგებლონ ამით და თავისუფალ დროს მისი ძირები უნდა შეაგროვონ.

**მეურნე.**

## სამხედრო საქმე

### პოზიციის გაწმენდა ქიმიურ საშუალებით.

იმ შემთხვევაში, როცა თხრილების მომწამლავ აირებისაგან გასაწმენდათ სითბოების საშუალების მოხმარებას ერიდებიან ხანძარის გაჩენის შიშის გამო, ან პაკეტების წვის დროს ამოცენებული კვამლით არა ჰსურთ თავის თხრილების მდებარეობა აჩვენონ მტერს და აგრეთვე ტანსაცმელის მომწამლავ ნივთიერებისაგან გაწმენდისათვის — მაშინ ქიმიურ საშუალებას მიჰმართავენ ხოლმე.

ამისათვის წითელ არმიაში შემოღებულია განსაკუთრებული ხელსაწყო — ეგრედ-წოდებული ჰიდროპულტი. თუ ეს ხელსაწყო ხელთ არა აქვთ, მაშინ შეიძლება ვაზისა და ხეხილის საწამლავი ხელსაწყო — შესაშხაპუნებელი სხვა და სხვა აპარატი გამოიყენონ.

ხელსაწყოში ასხამენ აირის საწინააღმდეგო ხსნილს და შემდეგ საქაჩავით აფსკურებენ წვრილ წინწკლებით.

ჰიდროპულტი ავტომატიურად მოქმედობს და ცალკე ერთ კაცს შეუძლიან მუშაობა, წამოიცვამს რა ნიღაბს თავზედ.

ამ შემთხვევაში, ჩვენში — მევენახეობაში ვაზის საწამლავად ხმარებული „ვერმორელის" აპარატი საუკეთესო გამოდგება, ვინაიდან მას სჭირია ერთი კაცი და ნიღაბშიც თავისუფლად შეიძლება მუშაობა.

სხვა და სხვა აირის საწინააღმდეგოთ სათანადო ხსნილი იხმარება. აგრე მაგალითად ქლორისა და ფოსგენის წინააღმდეგ: 1000 ნაწილ წყალზე იღებენ: წმინდა ქლორის საწინააღმდეგოთ — ჰიპოსულფიტის — 20,75 ნაწილს, წყლიან სოდას — 113,16 და უწყლო სოდას 44,34 ნაწილს. შერეულ ქლორისა და ფოსგენის და ნაწილობრივ სინილის სიმქავის საწინააღმდეგოთ ზემოხსენებულ შედგენილებას მიემატება — 4,94 ნაწ. ნატრიუმის ჰიდრატი. როდესაც ხელთაა ქვთ მარტო სოდა, მაშინ 1000 ნაწილ წყალზედ იღებენ 60 ნაწილს უწყლო სოდას და 170 ნაწილს წყლიან სოდას.

როდესაც სოდა არა აქვთ, მაშინ იღებენ 5—6 გირვანქა წვრილად დანაყილ ნაცარს, გახსნიან ერთ ვედრა წყალში და ორ-სამ დღეს დააყენებენ, რის შემდეგ ხსნილს გასწურავენ სუფთა მჩვარში.

ესენი იხმარება აირ-ბალონებიან იერიშის შემდეგ და ნაწილობრივ ქიმიურ ნაღმტყორცნთა სროლის შემდეგ.

ისინი გამოუსადეგარნი არიან ქიმიური ყუმბარებისათვის. ამისათვის იხმარება კირის რძე, ქლორის კირის ხსნილი და სხ.

ერთი უნდა აღინიშნოს, რომ ჰიდროპულტის საშხაპუნებელი იხშობა ხოლმე, რისთვისაც საჭიროა გასახსნელათ სახმარი წყალი სუფთა იყოს, განსაკუთრებით, როდესაც ცრემლის გამომწვევ ნივთიერებასთან აქვთ საქმე.

აქ ხდება მომწამლავ ნივთიერებათა ქიმიური საშუალებით არა დაშლა, არამედ წინწკლებათ გაშხაპუნებული სითხის საშუალებით ჰაერიდან მათი მექანიკური განდევნა. ჰიდროპულტი საუკეთესოდ მოქმედობს მაშინ, როდესაც მეტად წვრილად აშხაპუნებს.

დახურულ ბინების ჰაერის გასაწმენდათ წინწკლები ზევით უნდა აშხაპუნონ, რომ ისინი დიდხანს რჩებოდენ ჰაერში, რის გამოც ხანგრძლივად მოქმედებენ და მომწამლავ ნივთიერებაზედ მათ მეტი გავლენა აქვთ.

ჰიდროპულტის მტარებელი თხრილის შუა ხაზით უნდა მიდიოდეს და ხსნილის ნაკადული უნდა მიმართავდეს ქვევიდან ზევით: ნაკადულის გამოშვების მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით ის უპირატესობა აქვს, რომ მომუშავეს ტანსაცმელზედ არ ეცემა წინწკლები და იგი ქიმიურ შეერთების მავნებელ პროდუქტებით არა ჰსუნთქავს, რასაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ნიღაბი ცუდათ იცავს ამ მავნებელ ნივთიერებას, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთი ხსნილის მოხმარებისას, მაგალითად — ამიაკისა.

**გ. ბ—შვილი.**

## მეცნიერება და ტექნიკა

### პოლიციელების პსიხო-ტეხნიკური გამოცდა.

საზღვარ გარეთ პოლიციელების ცოდნას, სათანადო გამოცდილებას და ყოველგვარი მოვლენის დროს მათ სიმამაცეს დიდი ყურადღება ექცევა. სწორედ ამიტომ არის, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების პოლიცია განსაკუთრებულად ფხიზელია. ამ მხრივ პირველ რიგში სდგას გერმანია. გერმანიის პოლიციაში მიღების დროს, კანდიდატზე ახდენენ პსიხო-ტეხნიკური ცდების მთელ რიგს. განსაკუთრებით დიდ ცენტრალურ ქალაქებში დიდი მოვალეობა აწევს თავზე პოლიციას. მაგალითად პოლიციელისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მიხედვილობითი შთაბეჭდილებების ჩქარ შეთვისებას, ამიტომ მას აჩვენებენ სხვა და სხვა სურათებს მეტად სწრაფად, შემდეგ კი მოაყოლებენ ნაჩვენებ სურათების შინაარსს? იმის გასაგებათ, თუ რამდენად ამა თუ იმ პიროვნებას შეუძლია აუღელვებლად შეხვდეს ამა თუ იმ მოვლენას, მის ხელს შეუერთებენ ერთგვარ აპარატს, რომელიც აჩვენებს თითების ძაგძაგის სიძლიერეს. ამნაირად აპარატი ავტომატიურად აღნიშნავს მღელვარების გამომხატველ მრუდს. ხშირად არის შემთხვევა რომ ზოგიერთი პოლიციელი გაურბის საშიშროებას. ამასაც იგებენ განსაკუთრებული ცდების დაყენებით, რომელიც შემდეგში გამოიხატება: სამსახურში შემავალ პიროვნებას აიძულებენ რამოდენიმე ჯერ ხელით შეეხოს ელექტროობით დატენილ საგანს. ძალა ამ დროს იზომება ჩვეულებრივი დინამომეტრით მაგრამ ამით არ თავდება ყველაფერი. კარგ პოლიციელს უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ადგილის აგეგმაც. ერთი სიტყვით ის ტოპოგრაფიც უნდა იყოს. შემდეგ უნდა შეეძლოს აგრეთვე მომხდარ მოვლენების გასაგები, დალაგებული აზრებით გადმოცემა, სხვა და სხვა უბედური შემთხვევების გარკვეული აღწერა და სხვა, პოლიციელს აგრეთვე უნდა შეეძლოს უცნობი კაცის სახის დამახსოვრება, რომელიც აუცილებელია სისხლის სამართლის პოლიციისათვის. აქედან აშკარად სჩანს თუ რა დიდი მოვალეობა აქვს წაყენებული მსხვილი ცენტრების პოლიციელებს.

**აერო დინამიური ტურბინა.**

ჰაეროპლანები თავისი ფრენის დროს იმყოფებიან ერთგვარ წინააღმდეგობის არეში. ეს წინააღმდეგობა არა მარტო ჰაერის, არამედ თითეული ნაწილი ჰაეროპლანისა მეტად აფერხებს მოძრაობის სიჩქარეს. ამიტომ საჭირო არის თითეული ეს წინააღმდეგობა მხედველობაში იქნეს მიღებული და გამოანგარიშებული. ამისათვის არის ერთი იარაღი რომელსაც აეროდინამიური ტურბინა ეწოდება. ტურბინაში თავსდება ჰაეროპლანის თითეული დეტალი (ნაწილი) და იზომება მისგან გაწეული წინააღმდეგობა, რომელსაც მხედველობაში იღებენ შემდეგ და ისე აშენებენ ჰაეროპლანს. ხსენებულმა მანქანამ ძლიერ გაადვილა ავიაციის ჩქარი განვითარება.

**შეიხ.**

## განცხადება.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენ გაზეთში. 1924 წ. ღამის 27—28 მაისს ქართულ ცხენოსან ლეგიონის ფარგლებში დაკარგული იქნა ამავე ლეგიონის ბეჭედი შემდეგი ფორმისა: შუაში ჩაქუჩი და ნამგალი რომლის გარშემო წარწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით" და ყოველივე ამის გარშემო „ქართულ ცხენოსანი ლეგიონი" რუსულად და ქართულად, რომელიც გაუქმებულია 28 მაისიდან ა/წ.. ნაცვლად დაკარგულ ბეჭდის შეძენილია ახალი ბეჭედი იგივე წარწერებით შემდეგი განსხვავებით: ახალი ბეჭედი მოცულობით უფრო დიდია, ვიდრე დაკარგული და ძველ ბეჭედზე წარწერების დასაწყის და დაბოლოების შორის არის ცარიელი მანძილი, ახალში კი ამ ცარიელ მანძილში არის მოთავსებული § და მის გარშემო **** ვარსკვლავები.


ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„კრასნაია ზვეზდა"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული — ალბომი „დიადი საფლავთან"** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

**ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.**


## გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

ნ. ღ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.